

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2020 წლის 30 ივნისი

დაბა ხულო

"ხულოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის №25 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24 - ე მუხლის პირველი პუნქტის "დ.ა" ქვეპუნქტისა და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

"ხულოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N20 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, გამოქვეყნების თარიღი 27/12/2019. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.136.016332) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ დიმიტრაძე

დანართი

ხულოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თავი I

ხულოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით;

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
შემოსავლები	11 273 000	12 343 181	10 899 400
გადასახდელები	6 089 544	5 600 664	5 615 400
გრანტები	4 747 951	6 398 870	5 000 000
სხვა შემოსავლები	435 505	343 647	284 000
ხარჯები	7 636 990	7 993 990	7 721 587
მრომის ანაზღაურება	3 330 632	3 715 766	3 944 332
საქონელი და მომსახურება	2 726 192	3 089 858	2 800 854
პროცენტი	0	0	0
სუბსიდიები	3 000	3 000	500
გრანტები	219 388	225 996	220 000



სოციალური უზრუნველყოფა	613 550	567 681	491 613
სხვა ხარჯები	744 228	391 689	264 288
საოპერაციო სალდო	3 636 010	4 349 191	3 177 813
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 606 060	4 582 655	3 247 439
ზრდა (შემცენა)	3 610 373	4 585 615	3 247 439
კლება (გაყიდვა)	4 313	2 960	0
მთლიანი სალდო	29 950	-233 464	-69 626
ფინანსური აქტივების ცვლილება	29 950	-233 464	-69 626
ზრდა	29 950	13 000	0
ვალუტა, დეპოზიტები	29 950	13 000	0
სესხები	0	0	0
კლება	0	246 464	69 626
ვალუტა, დეპოზიტები	0	246 464	69 626
სესხები	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0
ზრდა	0	0	0
სესხები	0	0	0
კლება	0	0	0
სესხები	0	0	0
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
შემოსულობები	11 277 313	12 346 141	10 899 400
შემოსავლები	11 273 000	12 343 181	10 899 400
არაფინანსური აქტივების კლება	4 313	2 960	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	11 277 313	12 592 605	10 969 026



ხარჯები	7 636 990	7 993 990	7 721 587
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 610 373	4 585 615	3 247 439
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	29 950	13 000	0
ვალდებულებების კლება	0	0	0
ნაშთის ცვლილება	0	-246 464	-69 626

მუხლი 3. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10 899 400 ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
შემოსულობები	11 277 313	12 346 141	10 899 400
შემოსავლები	11 273 000	12 343 181	10 899 400
გადასახადები	6 089 544	5 600 664	5 615 400
გრანტები	4 747 951	6 398 870	5 000 000
სხვა შემოსავლები	435 505	343 647	284 000
არაფინანსური აქტივების კლება	4 313	2 960	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 5 615 400 ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გადასახადები	6 089 544	5 600 664	5 615 400
საშემოსავლო გადასახადი	125 504	0	0
ქონების გადასახადი	5 964 040	3 319 811	3 300 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5 646 397	3 001 482	3 290 000
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)			
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 922	3 793	1 000
სასოფლო –სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 685	1 414	
არასასოფლო –სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	313 036	313 122	9 000



სხვა გადასახადები ქონებაზე			
დამატებული ღირებულების გადასახადი		2 280 853	2 315 400

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5 000 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
გრანტები	4 747 951	6 398 870	5 000 000
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0	0	0
უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები	0	0	0
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	4 747 951	6 398 870	5 000 000
გათანაბრებითი ტრანსფერი	1 456 000	0	0
სპეციალური ტრანსფერი	0	2 300 000	2 000 000
მიზნობრივი ტრანსფერი	0	0	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	2 938 266	2 738 416	3 000 000
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	353 685	430 203	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	0	930 251	0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 284 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	435 505	343 647	284 000
შემოსავლები საკუთრებიდან	241 772	257 985	215 000
პროცენტები	127 285	131 595	100 000
დივიდენდები	0	0	0



რენტა	114 487	126 390	115 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	72 227	119 214	115 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	42 260	7 176	0
საქონლისა დამომსახურების რეალიზაცია	38 741	32 441	29 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	38 741	32 441	29 000
სანებართვო მოსაკრებელი	33 913	28 369	25 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0	23	0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	600	0	0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4 228	4 049	4 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0	0	0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	40 900	27 759	20 000
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0	0	0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	114 092	25 462	20 000

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7 721 587 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
2	ხარჯები	7 456 649	7 993 990	7 721 587
21	შრომის ანაზღაურება	3 330 632	3 715 766	3 944 332



22	საქონელი და მომსახურება	2 545 851	3 089 858	2 800 854
25	სუბსიდიები	3 000	3 000	500
26	გრანტი	219 388	225 996	220 000
27	სოციალური უზრუნველყოფა	613 550	567 681	491 613
28	სხვა ხარჯები	744 228	391 689	264 288

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3 247 439 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3 247 439 ლარის ოდენობით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	19 388	115 936	64 572
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 063 130	4 221 976	2 938 838
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 378	50 760	600
05 00	განათლება	340 246	50 515	235 729
06 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	185 231	146 428	6 400
07 00	მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0	1 300
	სულ ჯამი	3 610 373	4 585 615	3 247 439

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით;

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	4 313	2 960	0
ძირითადი აქტივები		2 915	



არაწარმოებული აქტივები	4 313	45	0
მიწა	4 313	45	
სხვა ზუნებრივი აქტივები			

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 10 969 026 ლარით:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 215 615	2 338 195	2 390 996
7011	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 215 615	2 338 195	2 390 996
70111	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 215 490	2 338 195	2 231 370
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	125	0	159 626
702	თავდაცვა	4 839	4 916	81 760
704	ეკონომიკური საქმიანობა	605 574	1 083 100	1 299 908
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	70 000	69 985	0
70421	სოფლის მეურნეობა	70 000	69 985	0
7045	ტრანსპორტი	535 574	1 013 115	1 299 908
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	440 314	930 270	1 199 408
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	95 260	82 845	100 500
705	გარემოს დაცვა	357 655	350 698	170 000



7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	66 000	109 200	70 000
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	291 655	241 498	100 000
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3 209 034	4 048 312	2 568 117
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 291 667	1 414 664	1 360 578
7063	წყალმომარაგება	1 291 219	780 124	378 524
7064	გარე განათება	338 408	201 305	205 192
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	287 740	1 652 218	623 823
707	ჯამრთელობის დაცვა	465 490	448 499	452 100
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯამრთელობის დაცვის სფეროში	465 490	448 499	452 100
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 401 136	1 526 435	1 120 200
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	369 324	427 068	176 640
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 023 867	1 094 889	940 560
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	7 945	4 478	3 000
709	განათლება	2 140 907	2 234 642	2 419 468
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 503 462	1 885 064	1 848 439
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	637 445	349 578	571 029
710	სოციალური დაცვა	847 113	544 808	466 477
7107	სოციალური გაუცხოების საკითხი, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	39 238	39 238	42 477
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	807 875	505 570	424 000
				10 969



მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 69 626 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 69 626 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 69 626 ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	29 950	-233 464	-69 626
ზრდა	29 950	13 000	0
ვალუტა, დეპოზიტები	29 950	13 000	0
სესხები	0	0	0
კლება	0	246 464	69 626
ვალუტა, დეპოზიტები		246 464	69 626
სესხები	0	0	0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II**ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები****მუხლი 15. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები**

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;



დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

პროგრამის მიზანი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს სისტემის გამართულ მუშაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიაში. ასევე ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, კადრების მომზადება-გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები და წვევანდელთა ტრანსპორტირება.

სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 02 01)

პროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსება.

პროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებული (სტიქიური მოვლენებისა და ფორსმაჟორული სიტუაციების), გადაუდებელი გადასახდელების დაფინანსება.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (პროგრამული კოდი 01 02 03)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

პროგრამის აღწერა:

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მერიის მიერ დაკავებული გასულ წლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულების დარჩენილი ასანაზღაურებელი თანხის დაფარვა.

პრიორიტეტი:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 00);

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გარე განათების, გამწვანების, სანიტარული დასუფთავების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მშენებლობა-რეაბილიტაცია, განხორციელდება კეთილმოწყობითი ღონისძიებები, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

1.1 საგზაო და სხვა სახის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)



პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, მგზავრობის დროის შემცირება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის გზების, სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია, მოიალათა უფასო ტრანსპორტირება და ხულო-თაგოს ბაგირგზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მთებზე მოიალათა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 02 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობების (მეცხოველეობის) განვითარების ხელშეწყობა. ალპური რესურსების გამოყენება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

ქვეპროგრამის აღწერა:

მოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის მერია უზუნველყოფს მგზავრთა უფასო ტრანსპორტით მომსახურებას სამთო იალაღებზე იმ პერიოდში, როცა ა(ა)იპ ხულოს ავტოსერვისი, არ ახორციელებს აღნიშნულ მომსახურებას (ა(ა)იპ ხულოს ავტოსერვისი ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე არ ახორციელებს მგზავრთა მომსახურებას სამთო იალაღებზე). მომსახურება ხორციელდება კურორტ ბეშუმის, მთა ზორტიყელის, მთა ლეკნარის, მთა სარიჩაირის, მთა თეთრობის, მთა ლოდშირის, მთა ჯანჯღნარის, ნათელათი, კუნჭულეთი, ქვაბიჯვარი, ჩიბუხნარი, ვაშლოვანის მთის, დიდაჭარის მთის, ხიხამირის მთის, მიმართულებით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შედგენილი გრაფიკის მიხედვით კვირაში 5-6 მარშრუტს.

- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში პრობლემური მონაკვეთების მოსაწყობად მზა ბეტონის შექმნა (პროგრამული კოდი 02 01 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

ცალკეულ უბნებში გზების და ქუჩების რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის დაგება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში მრავლად არის შიდა სასოფლო გზებზე ისეთი მონაკვეთები, სადაც ავტომანქანით მისვლა ჭირს და მოსახლეობას ხშირად უხდებათ ფეხით გადაადგილება და ტვირთის ხელით გადაზიდვა. პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად იქ, სადაც უფრო მეტად პრობლემატური მონაკვეთებია დაგეგმილია ბეტონის საფარის მოწყობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებულ თითქმის ყველა სოფელს. დაგეგმილია დაახლოებით 4700 კუბური მეტრის სასაქონლო ბეტონის შეტანა სხვადასხვა სოფლებში, რომლითაც მოეწყობა 14100 გრძივი მეტრი გზა.

- ბელეთი-ბოძაურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 05);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის მარტივი გადაადგილების საშუალების შექმნა.



ქვეპროგრამის აღწერა:

სოფელ ბელეთისა და ბოძაურის დამაკავშირებელი ხიდი, რომლითაც სარგებლობდა მოსახლეობის დაახლოებით 60 ოჯახზე მეტი წლების განმავლობაში ამორტიზირებულია და ვერ ხერხდება ხიდით სარგებლობა, რის გამოც მოსახლეობას უხდება შემოვლითი გზის გამოყენება, რაც შორია და დაკავშირებულია მეტ ხარჯებთან. აღნიშნული ხიდის მშენებლობით ორი სოფლის მოსახლეობას აღუდგება ახლო დამაკავშირებელი საფეხმავლო სახიდე გადასასვლელი.

- **ძმაგულაში საფეხმავლო ხიდის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 06);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის მარტივი გადაადგილების საშუალების შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სოფელში მცხოვრები 3 ოჯახი წლების განმავლობაში სარგებლობს მდინარეზე გადასასვლელი საფეხმავლო ხიდით, რომელიც თითქმის მთლიანად ამორტიზირებულია და ქმნის საფრთხეს მოსახლეობის გადაადგილების დროს. იქ არსებულ ოჯახებს არა აქვთ სხვა ალტერნატიული მისასვლელი გზა, რის გამოც მათ გავლა და ტვირთის გადაზიდვა უხდებათ აღნიშნული ამორტიზირებული ხიდით. არსებულიდან გამომდინარე საჭირო გახდა ახალი საფეხმავლო ხიდის მოწყობა, რითაც 3 ოჯახს აღუდგება უსაფრთხო სახიდე გადასასვლელი.

- **სოფელ ძირკვაძეებში სოფლის კლუბის მიმდებარედ სახიდე გადასასვლელის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 07);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის მარტივი გადაადგილების საშუალების შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განხორციელდება სოფელ ძირკვაძეებში კლუბის მიმდებარედ ჩამონადენი მდინარის კალაპოტში მოქცევა. აღნიშნული ტერიტორია წვიმისა და თოვლის დნობის დროს ვერ ატარებს უხვი ნალექის რაოდენობას, რის გამოც ზიანდება, როგორც საავტომობილო გზა, ასევე იქ მცხოვრები მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები. აღნიშნული სამუშაოს შესრულების შედეგად 2 ოჯახს გაუუმჯობესდება არსებულ გზაზე გადაადგილების საშუალება და იქვე მდებარე საკარმიდამო ნაკვეთები დაცული იქნება დაზიანებისაგან.

- **მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები ა(ა)იპ „ხულო–თაგოს ბაგირგზა“ (პროგრამული კოდი 02 01 09);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი საბაგირო გზის შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი რთული რელიეფური მდებარეობით, მათ შორის განსაკუთრებულად დიდ სირთულეს წარმოადგენს სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის დაბა ხულოსთან დამაკავშირებელი გზით სარგებლობა, რამაც შექმნა „ხულო–თაგო“-ს სატვირთო–სამგზავრო ბაგირგზის არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული ტრანსპორტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის. ეს არის სოფლის მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო მარტივი და ძირითადი დამაკავშირებელი ტრანსპორტი



მუნიციპალიტეტთან. ასევე ბაგირგზით სარგებლობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, აგრეთვე დიდ მოწონებას და ინტერესს იწვევს ტურისტულ ჯგუფებშიც. ბაგირგზის ექსპლოატაციას და ობიექტის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა. ბაგირგზის მცირე შემოსავლების გამო მის ფუნქციონირებას ფინანსურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

- სამგზავრო ბაგირგზა „ხულო-თაგო“-ს საწევი ბაგირის შეცვლისა და თანხმლები სარემონტო სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 01 10);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი საბაგრო გზის შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

„ხულო-თაგოს“ ბაგირგზა ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტთან დასაკავშირებლად. ბაგირგზის რამოდენიმე წლიანი მუშაობის შედეგად დაზიანებულია საწევი ბაგირის მსხვილი და წვრილი მავთულები, რომლის ექსპლოატაციაც არ შეიძლება და სახიფათოა უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის. არსებულმა მდგომარეობამ შექმნა ბაგირის შეცვლის და თანხმლები სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, რის გამოც დაიგეგმა აღნიშნული სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, მუნიციპალური სერვისის ხარჯების დაფინანსება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მიუსაფარი ცხოველებისგან მოსახლეობის დაცვა, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-რეაბილიტაცია, საპროექტო-საკადასტრო სამუშაოები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01);

ქვეპროგრამის მიზანი :

მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელის გამართული მუშაობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯის ხარჯის უზრუნველყოფა, რომელიც შედგება 5900 წერტილისაგან სულ 84 დასახლებულ პუნქტში. ასევე განხორციელდება იმ დარჩენილი მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფილი.

ასევე აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება სოფელ ფუმრუკაულისა და კვატის მოსახლეობისათვის საზაფხულო იალაღებზე ელექტროგაყვანილობის ქსელის მოწყობა. აქ ზაფხულის



სეზონს ატარებს მოიალადეთა 60 ოჯახზე მეტი, რომლებსაც დღემდე არ აქვთ ელექტრო ენერჯია. ქვეპროგრამის აუცილებლობა გამოწვეულია მოსახლეობისათვის უფრო მარტივი და სრულყოფილი ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით. აღნიშნული ელექტრო გადამცემი ქსელის მოწყობა ხელს შეუწყობს უფრო მეტი მოსახლის დაბრუნებას მთაში და ფერმერული მეურნეობის (მესაქონლეობის) განვითარებას, რაც ვფიქრობთ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

- ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“ (პროგრამული კოდი 02 02 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების ფუნქციონირება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობისათვის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“-ს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. მუნიციპალიტეტში სულ ფუნქციონირებს 28 წყალსადენი. ასევე ახორციელებს დაბის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის მოვლას-შენახვას.

- წყალსადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების ფუნქციონირება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში არსებობს სოფლები, სადაც ჭირს მოსახლეობის სასმელი წყლით სრულად მომარაგება, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რიყეთში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, წაბლიანში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ქურდულის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, ეკლანის წყალის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ აქ არსებული მოსახლეობა და მუნიციპალური ობიექტები მომარაგდება უწყვეტი სასმელი წყლით.

- საპროექტო, საკადასტრო აზომვები, საექსპერტო მომსახურება და ესკიზური ნახაზები (პროგრამული კოდი 02 02 05);

ქვეპროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ესკიზური ნახაზების მომზადება და ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებელი შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი სამუშაოების განხორციელება, ასევე მიმდინარე და შემდგომი წლების პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო



დოკუმენტაციის მომზადება და ესკიზური ნახაზების შედგენა.

- **სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 06);**

ქვეპროგრამის მიზანი:

გამართული სანიაღვრე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო ინფრასტრუქტურის დაცვას და მოვარდნილი ჭარბი წყლების გატარებას.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიაღვრე არხებისა და წყალგამტარების მოწყობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში შიდა გზების იმ მონაკვეთებზე, სადაც წვიმისა და თოვლის დნობის შედეგად ხშირად ზიანდება გზის სავალი ნაწილი, რაც შემდგომ აფერხებს მოსახლეობის, როგორც ავტომანქანით, ასევე ფეხით გადაადგილების შესაძლებლობას. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გზის სავალი ნაწილი დაცული იქნება დაზიანებისაგან და მოსახლეობას მიეცემა შეუფერხებელი გადაადგილების საშუალება. სულ განხორციელდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში 650 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხის მშენებლობა.

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 07);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-შენახვა და მიმდინარე რემონტი.

ქვეპროგრამის აღწერა:

დაგეგმილი სამუშაოებით გათვალისწინებულია სიძველის გამო, ზამთრის შედეგად ან/და სხვა მიზეზებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა. სამუშაოები ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-შეკეთებას. სულ განხორციელდება 4-მდე სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-შეკეთება.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა, ასევე მუნიციპალური ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- **მუნიციპალიტეტში სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 01);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემატური უბნების (სკვერები, ქუჩები ფასადები) გამაგრება-რეაბილიტაცია.



ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფერდსამაგრი სამუშაოები იმ უბნებში სადაც ყველაზე უფრო მეტად იქმნება მეწყრული პროცესების საშიშროება. სულ განხორციელდება დაახლოებით 24 ლოკაციაზე ფერდსამაგრი სამუშაო, რომლებზეც წარმოდგენილია გეოლოგიური დასკვნები.

ასევე დაგეგმილია დაბა ხულოში დავით მამულაძის ქუჩაზე საყრდენი კედლისა და საფეხმავლო ბილიკის მოწყობის სამუშაოები. ეს ქუჩა არის მთავარი გამტარი, როგორც დაბის ტერიტორიაზე ასევე მიმდებარე სოფლებში მიმავალი ავტომანქანებისათვის და სხვა ალტერნატივა თითქმის არა აქვს, ხოლო აქ არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ვერ იძლევა უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას. აღნიშნული სამუშაოს განხორციელება ხელს შეუწყობს, როგორც ტრანსპორტით, ასევე ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებას და მიმდებარე ტერიტორიის გამაგრებას.

- მუნიციპალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა—რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალი და არსებული მუნიციპალური შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რემონტი.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური ობიექტების მშენებლობა იმ სოფლებში, სადაც დღემდე არ არის მსგავსი ტიპის შენობები. აღნიშნული შენობების მშენებლობით სოფლის მოსახლეობას მიეცემა კულტურული თუ სხვა აქტივობებისათვის განსახორციელებელი თავშეყრის კომფორტული გარემო. დაგეგმილია სოფელ პაქსაძეების ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, სოფელ გელაძეების ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, დიდაჭარაში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, მუნიციპალური დარბაზის რეკონსტრუქცია-რემონტი (ორწლიანი პროექტი 2019-2020წ), ბეშუმის შესასვლელში საგუმბაგოს მშენებლობა, სოფელ წაბლანაში 1989 წლის 19 აპრილს სტიქიური უბედურების დროს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის მოწყობა, სოფელ ვაშლოვანში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა და სოფელ ღურტაში სტიქიის შედეგად დაღუპულთა მემორიალების რეაბილიტაცია.

პრიორიტეტი:

2.დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება თანხვედრაში უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2020-2023 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია მუნიციპალიტეტში ყველა გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა გარემოს დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა, მიუსაფარი ცხოველებისაგან მოსახლეობის დაცვა და სხვა.

2. სანიტარული დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო და ეკოლოგიურად სუფთა სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში



განხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა, შეგროვება, ასევე დაბა ხულოს ტერიტორიაზე არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ერთად გატანა ქალაქ ბათუმში ლეგალურ ნაგავლაყრელზე.

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი 03 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გათავისუფლება არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან. ტენდერში გამარჯვებული კომპანია დაბა ხულოს ტერიტორიაზე არსებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, ადმინისტრაციულ ერთეულებიდან გამოტანილ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს და კურორტ ბეშუმში არსებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს გადაიტანს ქალაქ ბათუმში ლეგალურ ნაგავსაყრელზე. თვეში შესრულდება საშუალოდ 10-15 რეისი საჭიროებიდან გამომდინარე, ხოლო წლის განმავლობაში 155 რეისამდე.

- მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობა (პროგრამული კოდი 03 01 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

მიუსაფარი და მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი და მაწანწალა ცხოველების რაოდენობა ბოლო წლებში მატულობს, რაც საშიში დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიუსაფარი ცხოველების შეგროვება და გადაყვანა ქალაქ ბათუმში უპატრონო და მაწანწალა ცხოველთა თავშესაფარში, რათა ჩაუტარდეთ შესაბამისი ვაქცინაცია, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. წლის განმავლობაში განხორციელდება დაახლოებით 220 ერთეულამდე უპატრონო მაწანწალა ცხოველის გადაყვანა.

- ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისი (პროგრამული კოდი 02 02 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სერვისების გამართული ფუნქციონირება, დაბის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, გარე-განათების მოვლა-პატრონობა, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა, გზის გაწმენდა ჩამომლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისი“-ს, რომელიც ახორციელებს დაბის ქუჩების ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას, სულ 37000 კვ/მ-ზე მეტ ფართობზე. ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა სულ 12 ადმინისტრაციული ერთეული, 84 სოფელი, მათ შორის: რიყეთი, დანისპარაული, შუასოფელი, დიდი რიყეთი, ბოძაური, დიოკნისი, ტაბახმელა, ჯვარიქეთი, მანიაკეთი, ბელეთი, კორტოხი, პაქსაძეები, გელაძეები, ღურტა, იაკობაძეები, ღორჯომელაძეები, ღორჯომი, გორგაძეები, მინთაძეები, ადაძეები, მეკვიძეები, ვანაძეები, ვაშაყმაძეები, მეხალაშვილები, ტუნაძეები, ქურდული, ახალი უბანი, სტეფანაშვილები, წინწკალაშვილები, მერჩხეთი, ჭახაური, ლაბაძეები, აგარა, საციხური, ნამონასტრევი, გელაურა, პანტნარი, დიდაჭარა, ირემაძეები, ბოლაური, გობაძეები, დეკანაშვილები, ზედა დეკანაშვილები, ქედლები, თხილაძირი, განახლება, ელელიძეები, ძირკვაძეები, დიაკონიძეები,



გოდგამეები, უჩხო, გუდასახო, დუაძეები, ოქრუაშვილები, კურცხალი, ქვემო ვაშლოვანი, ზემო ვაშლოვანი, შურმული, სხანდარა, ჩაო, თაგო, ყინჩაური, ჭერი, ძმაგულა, გურძაული, ფაჩხა, წაბლანა, წაბლიანი, კვატია, ფუშრუკაული, რაქვთა, ვერნები, ოშანახევი, მახალაკური, ხიხამირი, ახალშენი, სკვანა, კალოთა, ნადაბური, ზედა თხილვანა, ქვედა თხილვანა, ბაკო, მთისუბანი.

დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალიტური სერვისი“, რომელიც უზრუნველყოფს გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვას. სულ 13 ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მთლიანობაში განთავსებულია 6200 გარე განათების ბოძი.

ასევე განახორციელებს დაბასა და ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების (სულ 19 ერთეული) პერიოდულ დასუფთავებას და მოვლა-პატრონობას. ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

პრიორიტეტი:

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და არსებული ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1 სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

პროგრამის აღწერა:

ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ხულოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და სკოლამდელი განათლება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას მოითხოვს, რისთვისაც მუნიციპალიტეტი საბავშვო ბაღების გაერთიანებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფინანსური რესურსით. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე ხულოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:



მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება, რომელიც აერთიანებს ერთ ბაგა-ბაღს და 22 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 790–ზე მეტი სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა. მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს სხვადასხვა ინვენტარით და ტექნიკით, რათა ბავშვებს მიეცეთ ნორმალური და სრულყოფილი განვითარების საშუალება.

- საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღორჯომის საბავშვო ბაღის, სასწრაფო სამედიცინო ცენტრის და ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციას. აღნიშნული ობიექტის ინფრასტრუქტურა სრულად მოშლილია და ვერ ხერხდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულყოფილად წარმართვა, რამაც შექმნა აუცილებლობა, რომ შენობას ჩაუტარდეს სრული რეაბილიტაცია და ბავშვებს მიეცეთ საშუალება სრულყოფილი სკოლამდელი განათლების მიღებისა. ასევე განხორციელდება სასწრაფო სამედიცინო ცენტრის და ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციას.

დაგეგმილია სოფელ კვატიის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, სადაც განთავსდება საბავშვო გასართობი ატრაქციონები.

პრიორიტეტი:

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, წარმატებულ ხელოვანთა და სპორტსმენთა ხელშეწყობას, წახალისებას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა მათ მოახერხონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1 სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მისი პოპულარიზაცია და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი გამორჩეულია სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებებითა და შედეგებით, რაზეც ნათლად მეტყველებს ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ მიღწეული არა ერთი გამარჯვება სპორტის სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად ამისა ამ კუთხით აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მიღწეული შედეგების გაუმჯობესებას. ასევე შესაძლებელს გახდის ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური



რაოდენობის ჩაბმას სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის და მის დამკვიდრებას მოზარდ თაობაში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სკოლასთან არსებული სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით აღჭურვა, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 8 სექცია (ჭიდაობა, ძალოსნობა, კალათბურთი, ჩოგბურთი, სამთო-სათხილამურო, ჭადრაკი, ფრენბურთი, ფიზიკური მომზადება), სადაც სწავლება უფასოა და 380-მდე ბავშვია ჩართული სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

- ა(ა)იპ ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანი“ (პროგრამული კოდი 05 01 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ბავშთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ფეხბურთის პოპულარიზაციასა და წარმოჩენას, ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას, ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენასა და მომზადებას, რათა მათ შეეძლოთ თავისი შესაძლებლობების შემდგომი განვითარება. სწავლება უფასოა და 80-მდე ბავშვია ჩართული აღნიშნული სპორტული სახეობის განვითარებაში.

- სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს მამტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებში. ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განსაკუთრებული წარმატებები აქვთ ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, (არიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, ოლიმპიური პრიზიორი და საქართველოს ჩემპიონები სპორტის სხვადასხვა სახეობებში), ვითარდება სათხილამურო სპორტი და ძალოსნობის სხვადასხვა სახეობა. წარმატებული სპორტსმენების წახალისება ხდება სიგელებით, მედლებით, თასებით და ფულადი ჯილდოთი.

4.2. კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)



პროგრამის მიზანი:

ხულოს კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნისა და კუთხის ტრადიციული დღესასწაულების მხარდაჭერას და პოპულარიზაციას, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზებას. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების პოპულარიზაციას და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა პატივის მიგებას. შემოქმედებითი უნარების აღმოჩენასა და წახალისებას. ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების გამოვლენას, კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ინფორმირებას გენდერული თანასწორობის საკითხებში, შშმ პირების ინტეგრირებას საზოგადოებასთან. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლე-ახალგაზრდების მუსიკალურ-ვოკალურ-ქორეოგრაფიულ განათლებას, როგორც ფოლკლორის, ასევე კლასიკური და თანამედროვე მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება, მოამზადოს მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწოს პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა/გამოვლენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ბავშვები მიიღებიან 6 წლის ასაკიდან. სკოლაში არის ორი განყოფილება-სამუსიკო და სამხატვრო. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად შეისწავლონ შერჩევითი საგანი - სალამური, დოლი, ფანდური, ბასფანდური, პიანინო, გიტარა და კლასიკური ფანდური. სწავლება 6 წლიანია. სკოლას ჰყავს ფოლკლორული ანსამბლი - „ციცინათელა“ და ანიმაციური ფილმების სტუდია. ასევე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა. ადგილობრივი მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის (კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი) შეთავაზება. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლაში საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, გასტროლებში მონაწილეობა და სხვა მოტივაცია). სკოლაში სწავლობს 84 მოსწავლემდე.

- ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების, სტრუქტურული ერთეულების სასოფლო კლუბებისა და კულტურის ცენტრების განვითარების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება,



მონაწილეობა მუნიციპალურ, რეგიონულ და ტურისტულ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ასევე ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის, სტუმრებისა და ტურისტებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული და ფორკლორული ანსამბლების მეშვეობით. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარებლობს ფორკლორული ანსამბლები „ბერმუხა“, „ხულო“, „ხიხანი“, „ვერნები“, „სხალთა“, „ვაშლოვანი“, „ღორჯომი“, ბავშთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „არგინეთი“, „საციხური“, მუსიკალური ჯგუფი „გოდერძი“, ვაჟთა მუსიკალური ბენდი „დიოკნისი“ და სხვა. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება, როგორც კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტიუმირება, გასტროლების დაგეგმვა და სხვა მოტივაცია. სახელოვნებო დარგის ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა (კულტურის მუშაკების, პედაგოგების) განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ხულოს, როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის გაცნობა ქვეყნის მაშტაბით და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სახის ღონისძიებების უზრუნველყოფით. საბიბლიოთეკო განყოფილებისათვის ფონდების შევსება და მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 სასოფლო, 1 საჯარო და 1 საბავშვო ბიბლიოთეკა. ხულოს კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს მივიწყებული ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას მოსწავლე ახალგაზრდობაში და მისი პოპულარიზაციის მიზნით მონაწილეობას დებულობს სახალხო დღესასწაულებსა და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ტურიზმის ხელშეწყობს საერთაშორისო ღონისძიებებში.

- **სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 03);**

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში თეატრალური ცხოვრების დონის ამაღლება და წარმოჩენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი საკუთარი შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ამიტომ მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს მის ფინანსურ მხარდაჭერას გრანტის სახით, რათა გააგრძელოს თავისი შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის მაშტაბით და მის საზღვრებს გარეთ. თეატრი ახორციელებს წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის სპექტაკლების წარმოდგენას, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების დონის გაჯანსაღებასა და წარმოჩენას.

- **კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 04);**

ქვეპროგრამის მიზანი:

ტრადიციული დღესასწაულის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას, წარმატებული ახალგაზრდების წახალისებას საჩუქრებით და საინტერესო პროექტების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული ღონისძიებების მათ შორის შუამთობის,



ტბელობის, დიდაჭარობის ორგანიზება-ჩატარებას, რომლის დროსაც იმართება კონცერტები, სპორტული და სხვა შეჯიბრებები. ტარდება სტუდენტებთან და წარჩინებულ მოსწავლეებთან, დამსახურებულ პედაგოგებთან შეხვედრები. თვითშემოქმედი კოლექტივები და კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა ანსამბლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში, როგორც რესპუბლიკურ ასევე საერთაშორისო დონეზე.

- ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა და ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოზარდებთან მუშაობას, რომლის მიზანია ახალგაზრდობში შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება. აგრეთვე ახალგაზრდობის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

- ა(ა)იპ კურორტი ბემუმი (პროგრამული კოდი 05 02 07);

ქვეპროგრამის მიზანი:

კურორტ ბემუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მისი გაჯანსაღება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბემუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, კურორტის ტერიტორიის დასუფთავებას, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მომსახურებას, ზამთრის პერიოდში არსებული ინფრასტრუქტურის დაცვას და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად საინტერესო ადგილების შესწავლა, შემდგომში მათი პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვა სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების მეშვეობით.

ქვეპროგრამის აღწერა:

